პროფესიული მომზადების/პროფესიული
გადამზადების პროგრამის განხორციელების
უფლების მიმნიჭებელი საბჭო

21/05/2025

MES 6 25 0000555496

გადაწყვეტილება

ა(ა)იპ ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოსთვის "შენობების ენერგოეფექტურობის (ენერგეტიკული მახასიათებლების) სერტიფიცირება" პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ ენერგოეფექტურობის ცენტრ საქართველოს (ს/კ: 202949364) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - შენობების ენერგოეფექტურობის (ენერგეტიკული მახასიათებლების) სერტიფიცირება /02286/ **(დანართი).**

2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2025 წლის 21 მაისის №553944 ოქმის მეექვსე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი



პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სანაია სალომე



დანართი

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02286	შენობების ენერგოეფექტურობის (ენერგეტიკული მახასიათებლების) სერტიფიცირება	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	7	ქართული	20	ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. N19